რაც შეიძლება ადრე მისულიყვნენ სასახლეში. ცხე-
ნების ნალის ჩამი ახმაურებდა ახლად გამოლვიძე-
ბულ ვიწრო და მიხრილ-მოხრილ ქუჩებს. მივიღნენ
მგზავრები სასახლის გალავნის კარებთან თუ არა,
დარაჯებს სთხოვეს, რომ შეეშოთ მეფესთან. დარა-
ჯებმა იუცხოვეს, — ხომ არ გაგიუებულხართ, რა დროს
მეფეა! ცხვირის აშვერით უთხრა თუშებს ერთმა და-
რაჯთაგანმა, რომელიც ძლივს აჭყეტდა უძილობისა-
გან ჩასისხლიანებულ თვალებს.

მძიმე საქმე გვაქვს მეფესთან. აუსნა დარაჯებს
ითაბანულმა, ყოველი წუთი ჩვენთვის ძირიფასია.

მერე რა ისეთი მძიმე საქმე გაქვთ მეფესთან,
არ შეიძლება ერთი ჩვენც შევიტყოთ? და ცინვის კუ-
ლოთი ჰეითხ მეორე დარაჯმა, რა ახელ-ჩახედა მგზა-
რებს და მათ დაოფლიანებულ ცხენებს.

რა შენი საქმეა, ოხერო, თუ რა საქმე გვაქვს
მეფესთან!.. მოუთმენლად შეპყვირა ბრაზმორეულმა
გიორგიმ — შენ შეგვიშვი მეფესთან და შემდეგ

ჩვენვიცით...—ბიჭოს—გესლიანათ გაიცინა დარაჯმა, ცხარობს კიდევ ეს ბრიყვი თუში. —რას ცხარობ და ან რას ცვირი აქ, შეიღოსან, არ შეგვიძლიან და არც შეგიშვებთ, მორჩა და გათავდა, ააპა...»

ეს, თუში, ჭვიანად იყავ, აქ ნუ ჰყვირი. თორემ ღვთის წყალობა მაქვს, მალე ჩაგაწყვეტინო ხმა... და ემუქრა მესამე დარაჯი.

ამ უკანმსენელ დარაჯის სიტყვებმა მთლად აანთო ომალოელი. მეტის ბრაზებისაგან კანკალმა აიტაცა და მზად იყო კიდევ, რომ თავ დავიწყებული მივარდნოდა თავხედ დარაჯს. ითაბანულმა შეაჩერა.

შმაო, ტკბილად მიუბრუნდა დარაჯებს ითაბანული—თქვენ გაგვიღეთ კარები, შეგვიშვით და, თუ რეფე განრისხდება, ჩვენი კისერი იყოს.

ბიჭო, მანდ რახმაურობა გაქვთ, ვის ეჩეუბებით?!.. გაისმა ამ დროს კარების შიგნიდვან ხმა.

თუშები არიან, ბატონო, უპასუხა ერთმა დარაჯთაგანმა.

მერე რა უნდათ?

მეფის ნახეა უნდათ, ბატონო, მძიმე საქმე გვაქვსო, პასუხი აღარა იყო რა შიგნიდან. გაიარა რამდენიმე ხანმა. ითაბანული და გიორგი პასუხის ლოდინში მოუთმენლად წინ და უკან დაიარებოდნენ. მზე კარგა ამოვიდა. აპა გაისმა გალავნის რკინის კარების რახუნი. გამოვადა შუა ხნის კაცი, რომლის მდიდარი ტანისამოსი და იარალის კაზმულობა ამტკიცებდა, რომ მაღალ წოდებას უნდა კუთვნილიყო.

აბა სად არიან თუშები, მოვიდნენ! უბრძანა დარაჯებს გამოსულმა..»

თუშები შევიდნენ გალავნაში.

თუშები წარუდგინეს მეფე ლევანს, იმ სახელმვან კახეთის მეფეს, რომელმაც თავს ზარი დასცა კახეთის მოსაზღვრე თათრებს და მათ ხანებს, რომელმაც დაიმორჩილა დიდოები და ალაგმა ლეკები. ლევანის ხანგრძლივი მეფობის დროს კახეთი აშენდა და აყვავდა, ვერაგი და გაუმაძლარი მისი მტერი ველარას ბედავდა მის წინააღმდეგ. ველარ აწიოკებდა და ველარ აყენებდა სისხლის რუებს.., ველარ მიჰყავდა ათასობით ტყვეები. ლევანის მეფობის დროს ყოველი კახელი უშიშრად ჰერიტანდა თავის თავს, ხარობდა თავის მამა-პაპის კერასთან, თავის ცოლ-შეიღოთან, თავისუფლად. უშიშრად გაჰქინდა თავის გუთნის დედას მინდორში, გაჰყვანდა საქონელი საძოვრად ლამის მეხრეს და მეცხვარეც ატირებდა და აკვნესებდა თავის განუყრელ მეგობარ-სალამურს ზურმუხტად ამწვანებულ მთის კალთებზე გაშლილ ცხვარში...

— რამ ჩამოგიყვანათ, ჩემო თუშებო, ამ დროს მთიდან ბარში? მიუბრუნდა თუშების დესპანებს მეფე.

— გაჭირვებამ, მეფევ, უპასუხა ითაბანულმა, — თუ არ გაჭირვება, ჩვენ აქ რა გვინდნენ უხლოება ამ უღრიოო დროს.

— ავარიის ხანი შემოგვესია უთვალივი ჯარით, აუწყა მეფეს ითაბანულმა რამდენიმე სიჩუმის შემდეგ,— და როგორც მძვინვარი მგელი, დანავარდობს თუშეთში. თითქმის ნახევარი თუშეთი მიწისთან გაასწორა, აშენებული, სიცოცხლით აღსავს სოფლები ნანგრევად აქცია და მცხოვრებლების სისლით მორჩილო. მცხოვრებნი გაწყდნენ ზოგი უთანასწორო ბრძოლაში და ზოგნიც ცეცხლის აღში. დანარჩენები შეხიზულნი არიან გადარჩენილ ციხე-სიმაგრეებში და დღეს თუ ხვალ იმათაც მოელით ის, რაც მოევლინა მათ თანამომექებს. მოგვეშველე, მეფევ, დაასრულა დესპანმა,— თუ არა სუ ერთიანად გავწყდებით შენი „ნაუჯნი ყმანი თუშები“. ვიბრძოლებოთ, სანამ პირში სული გვიდგა და მტერს-კი ქედს არ მოუხრით!..

მეფე სდუმდა. ითაბანულის მოხსენების დროს მისი გაშლილი ნაოჭიანი შებლი ხან მოიქუშებოდა და ხან ისევ გაიხსნებოდა.

— რამდენი ჯარი დაგჭირდებათ? ჰკითხა თუშებს მეფე.

— ათასი კაცი გვიბოძეთ, სთხოვა ითაბანულმა,— ფშავ-ხევსურებთანაც კაცი გავგზავნეთ, ისინიც მოგვეშველებიან და მაშინ, იმედია, ლირსეულად გაუმასპინძლდებით დალესტნის მბრძანებელს. მხოლოდ, დაასრულა დესპანმა,— დაეშურენით, მეფეო, თუ შაბათის გასათენებლად არ მოგვეშველენით თუშებს, თუშეგი დაილუპება.

— კარგი, სთქვა მეფემ. სამი დღე მოიცადეთ აქ, ჯარს შევკრებავ და გახვალოთ. სახლთაუზუცეს უბრძანა მეფემ სასახლის ერთ-ერთ სახლში შეენახათ თუშები და პატივი არ მოეკლოთ.

XII

გათენდა ხუთშაბათი. მარიამობის მზე უხვად აფრევევდა სხივებს გვალვისაგან გადამწვარ კახეთს. თუშეთისათვის სალაშქროდ მომზადებული ათასი მხედარი ელოდა მეფე ლევანის ბრძანებას. შუა დღე იქნებოდა, როდესაც მეფე გამოვიდა ჯართან თავის ბრწყინვალე ამალით, რომელსაც შეადგენდა კახეთის წარჩინებული თავადნი. მეფე მიესალმა ჯარს.

— გაუმარჯოს ჩვენ დიდებულ მეფე ლევანს!!.. იგრიალა მთელმა მხედრობამ. მეფე წარსდგა ჯარის წინ. ხმაურობა შესწყდა. სმენად გარდაქცეულ ყოველ მეომარს მეფისკენ ეჭირა თვალი.

ქართველებო! მიშმართა მეფემ ჯარს,— ავარიის ხანი ნუცალი უთვალავ დიდო—ლეკით შეპსევია თუშეს. მიუხვდი ხანს. მას უნდა დაიმორჩილოს ეს მამაცი ჩვენი ხალხი და მით გაიღოს თავისუფალი გზა

იმ შხრიდან კახეთისაკენ. შემდეგ, თუ მიაღწევს რასა-
კვირველია, საწადელს, თარეშობით სურს აგვიყლოს.
თუშებს გამოუგზავნიათ ჩემთან ორი კაცი, რათა მი-
ვაშველო ჯარი. აი ამისათვის მოგიხმეთ, რომ გაზავ-
ნოთ თუშეთში. დღესვე გახვალოკარგა სისწრაფით,
რომ შაბათის გასათენებლად უეჭველად თავს ზარი
დაჭისცეთ ლეკებს. აბა თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკა-
ცობამ.

დიდებულო, მეფევ, მოწიწებით მიუბრუნდა ამ
დროს მეფეს სატუსალოს ზედამხედველი, — ანდერაზ
საგინაშვილი ცრემლით გემუდარებათ, რომ თქვენი
ნახვის ნება მისცეთ.

მერე რათ უნდა ჩემი ნახვა საგინაშვილს?!..
სასტიკის კილოთი ჰკითხა მეფემ და შისი წარბები
შეიქმუხვნენ.

რა მოგახსენოთ, დიდებულო მეფევ, მიუგო
ზედამხედველმა, — მას აქეთ, რაც გაიგო, რომ თუ-
შეთში ჯარსა ჰგზავნით ლეკების წინააღმდეგ, მემუ-
დარება, რომ ვიშუამდგომლო, ერთი თვალით ვნა-
ხო მეფე და შემდეგ თუნდა ჩამომახრჩოს, ამბობს
საცოდავი ტუსალი.

— მოიყვანეთ, უბძანა მეფემ

რამდენიმე ხნის შემდეგ მოიყვანეს ტუსალი და
წარუდგინეს მეფეს.

თუმცა შუახნის არ იყო ანდერაზ საგინაშვი-
ლი, მაგრამ ხუთი წლის ტუსალობამ თავისი დარი
მაინც დაასო. ფერ მიხდილი, ლოყებ ჩაცვინული,
გამხმარი მისი სახე და მასთან ნაოჭებად გადაქცეუ-
ლი შუბლი, შეკუმშული წარბები უმტკიცებდნენ
თუ რა სულის კვეთება, გაუძლებელი ცეცხლი, გე-
სლი და ნაღველი ჰქეჯნიდა ამ კაცს. მაგრამ არწი-
ვისებურ თვალებში ჯერ არ ჩამქრალიყო კიდევ ცე-
ცხლი, კიდევ გამოიხატებოდა სულის სიძლიერე,
სიმტკიცე და მასთან ძალგულოვნობა. ამასთან ახო-
ვანი, წარმოსადგი — ყველა ეს უმტკიცებდა, რომ
ანდერაზ საგინაშვილი იყო ნამდვილი შვილი „გმი-
რი კახეთისა“.

დიდი დანაშაულობა მიუძლოდა ანდერაზ საგი-
ნაშვილს მეფის და სამშობლოს წინაშე.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოდ, ძლი-
ერ ცოტად იყვნენ გამსჭვალულნი საქართველოს
თავადნი სამშობლოსადმი სიყვარულით. ეს იყო დი-
დი უბედურება საქართველოსი და ამან მოუღო კი-
დეც მას ბოლო. ქართველ თავადს ამოქმედებდა
უფრო პირადი ინტერესი, ჰქონდა მხედველობაში
უფრო თავის კეთილდღეობა, ბედნიერება, მე-კი
ვიყო და სხვა ჩემ გარეშე თუნდა ქვა-ქვაზე აღარ
დარჩეს, — აი დევიზი მომეტებულ ქართველ თავადი
სა. ამით აიხსნება ის ხშირი მოვლენა საქართველოს
ისტორიაში, რომ თავადები ისე იღვილად ჰდალა-
ტობდნენ თავიანთ სამშობლოს, თავიანთ რჯულს.

ცოტა რამე მეტი პატივი ან ფულით, ან დედულ-
მამულით, ან თანამდებობით რომ აღეთქმათ საქართ-
ველოს მტრებს — სპარსელ-ოსმალოს, ან უნიტიტუ-
ლო რამ უსიამოვნება მოსვლოდათ მეფესთან, თავა-
დი დაუყონებლივ გაღუდებოდა თავის სამშობლოს,
თავის რჯულს, თავის დედ-მამას და თავის მებს.
ამის მაგალითები ბევრია ჩვენ ისტორიაში.

ამითვე აიხსნება ჩვენი თავადების ერთურთ შო-
რის განუწყვეტელი შური და მტრობა, ერთი-ერთ-
მანეთზე თავს დასხმა, აკლება და ხოცა-ულეტა.
ამას ჩადიოდნენ მაშინაც-კი, როდესაც მძლავრი
მტერი თავს ადგა მათ სამშობლოს ხმალ ამოწვდე-
ნილი, პირიქით ამ დროს მტრის შემოსევა უხარო-
და კიდევ თავის მეტოქე თავადისაგან დაპარტებულ
თავადს. შეურაცხყოფილი თავადი მაშინვე გადავი-
დოდა მტრის ბანაკში, დაუკრავდა თავს მის წინამძ-
ლოლს, გამოიცვლიდა რჯულს და თვითონ წამოუ-
ძლვებოდა მტრის ჯარს. მოდიოდა და თან მოჰქონ-
და სისხლი და ცეცხლი. შებრალება არ იცოდა, არ
ესმოდა ვერაგ, სისხლით გაუმაძღარ გულს. ისევ
უფრო ოსმალ-სპარს და ლეკების შორის მოიპოვე-
ბოდა სათნოება, ვიდრე მოღალატე თავადის გულ-
ში. მეფე რაც უფრო ჭკუით და ხასიათით სუსტი
გამოღებოდა, იმდენად უხაროდათ თავადებს. მა-
შინ ხომ მათ თავხედობას, ვერაგობას და მხეცურ
გაუმაძღრობას საზღვარი არა ჰქონდა. ყოველი მათ-
განი, როგორც დამოუკიდებელი „ბატონი“ ჩაიკე-
ტებოდა თავის ციხე-გალავანში და სხვა თავის თა-
ნამოძმის, სამშობლოს რამე უბედურობა ჩალად არ
მიაჩნდა...

მაგრამ სულ რომ ამნაირი ყოფილიყვნენ თა-
ვადები, მაშინ ხომ საქართველო ვერ შეინახავდა იმო-
დენ ხანს თავის თავს, თავის არსებობას, ვერ გაუმკლა-
ვდებოდა იმ აუარ გარშემორტყმულ მძლავრ მტერს,
რომელიც ისე აწვებოდა მას, როგორც ქარტეხი-
ლისაგან გაშმაგებული ზღვა აწვება პატარა, მაგრამ
სალიკლდოვან კუნძულს. როგორც ბნელი ლამეში
ლრუბლებით შემოსილ ცაში აქა-იქ გამოჩნდება ხო-
ლმე თითო ორ-ორი ბრჭყალის ვარსკვლავი და
თავის სინათლით უნათებს გზას გზა არეულ მგზავ-
რს, ისე საქართველოშიც იმ უბედურ დროს გამო-
დიოდნენ თითო ორ-ორი მამულის შვილნი, რომელ-
თაც უღვიოდათ გულში სამშობლოსადმი სიყვარულის
ცეცხლი, რომელნიც მიუხედავად იმისა, რომ მთელი
ის დაცემული და გახრწილი გაფუჭებული დრო
მათ წინააღმდეგ მოქმედობდა, — მაინც იბრძოდნენ
გულდაგულ მთელ თავის სიცოცხლეში საყვარელ
მამულის საბედნიეროდ, საკეთილდღეოდ და თავსაც
ზედ სწირავდნენ. ქვეყნის უბედურობაში, ამნაირ
გვიმებს სრულებით არ ახსოვთ, არ აგონდებათ თა-
ვიანთ თავი, თავიანთი სისცოცხლე. ისინი მთელი

თავიანთი არსებით, სულითა და გულით გატაცებულნი არიან მხოლოდ იმ ფიქრით, რომ როგორმე უშველონ თავის დაზღრულ ერს, თავის სამშობლოს. დრალ, ამნაირი პატიოსანი დიდბუნებოვანი გვამები რომ არ ჰყოლოდა მრავალჯერ ტანჯულ პატარა საქართველოს, აქამდისინ ნატამალიც არ დარჩებოდა მისი ეროვნული არსებობიდან, იღითხერებოდა დედამიწის ზურგიდან...

ივ. ბუქურაული.

(შემდეგი იქნება)

მოკლე მიძინელება ქართულ მწერლობისა
უშესებს დორიდგან.

დამოუკიდებელი ან ოქროს ხანა.

შოთა რუსთაველი

“ვეფხვის ტყაოსნის” საზოგადო, მსოფლიო
მნიშვნელობა.

XV

ნამდვილი, ნიჭით და შემოქმედების ძალით მაღლიდან დაჯილდოებული, პოეტი შეგნებულად ან ინტუიციით იგებს და ეცნობა ცხოვრებას და მის რთულ და მრავალ-ფეროვან მოვლენებს და კითხვებს. უკირდება, ასწონ-დასწონის წარსულ-გაგრილს, ნაგრძობ-ნაოუნებებს და განიცდის სულიერ, შინაგან შემოქმედებას. როგორც შედეგი ასეთ შინაგან შრომისა (ასეთი შრომა შეუგნებლად სწარმოებს), დგება პოეტისათვის ისეთი დრო, მომენტი, როდესაც მისი გონება ცხადად შეიგნებს იდეას, გრძნობა — იშვიათის ძალით ითვისებს ყოველთვი მშვენიერებას, ხსოვნა — მსწავლად იგონებს ყოველთვი წვრილმანსაც კი. რომელიც აუცილებლად საჭიროა ხელოვნურ სახის შესაქმნელად, ფანტაზია — ადვილად აერთიანებს ამ წვრილანებს ცოცხალ სახეში ასეთ მომენტს ეძახიან შთაგონებას. შთაგონებითი შექმნა-შემოქმედება იმას კი არ ნიშნავს, რომ ვითომც პოეტ ხელოვანი უცბად, მოულოდნელად, ზე-შთაბერვით (როგორც ბევრს ჰგონია) ჰქენის თვის ნაწარმოებს. პირიქით მძიმე და ხანგრძლივი შინაგანი (შეიძლება შეუგნებელიც, განცდა-მუშაობა წინ უძღვის ყოველთვი შთაგონებას და მისგან გამოწვეულ შემოქმედებას, პოეტი, სანამ ხორცის შეასხამდეს რომელიმე იდეას, გრძნობას, ხშირად ჰგოდებს, გშინავს, განიცდის გამოურკვეველ მწუხარება-ტანჯვას; ხანდისხან სიამოვნება სიამესაც).

პროცესი ნამდვილ შექმნა-შემოქმედებისა წააგვს ხშირად მშობიარე დედის მდგომარეობას. — ეს მომენტი მძიმეა, ჭირ-ვარამიანი, კვნესა-ვაების გმო-

მწვეველი, ბევრჯერ უნაყოფო, მაგრამ ამავე დროს წმინდა, ღრმა აზრიანი, მისტიკური ტაურიშებულება-დაშვნარების მომგვრელი.

შოთა რუსთაველი

ასეთის სულის კვეთებით და შრომით მოპოებული მასალა პოეტმა უნდა მოახმაროს კეთილის, ჰეშმარიტების და მშვენიერების იდეათა განხორციელება-გამოსახვას. შოთას ასეთი აზრ — შეხედულება ჰეშმარიტ შემოქმედების ერთს უმთავრეს თვისებაზე შესანიშნავად მოწყვეტილად, ლაკონიკურად, მაგრამ ძლიერად და ღრმად, აქეს გამოთქმული შემდეგს სიტყვებში: «პხამს მოლექსე ნაჭირებსა მისა ცუდად არ აბრკვმბოდეს».

მხოლოდ გენიოსს ძალუძს ასე ერთის კალმის მოსმით და მდაბიურად ღრმა აზრის გამოხატვა! —

არიან უმთავრესად ორნაირი ჯურის ნიჭიერი და ნამდვილი პოეტები. შემოქმედება პირველ ჯურის მწერალ-პოეტებისა მრავალ-მხრივია. გარეგანი ფორმა მათის ნაწარმოებისა მრავალგვარია: რომანი და მოთხოვნა, ბალლადა და ღრამა, სიმღერა და ელეგია — მათ ერთნაირად ემარჯვებათ. ასევე მრავალ ფეროვანია მათი პოეზია შინაარსითაც: მხიარულება და მწუხარება, სიყვარული და იმედის გაცრუება, მეგობრობა და „მარტონბა, ობლობა სულისა“, წმინდა რწმენა და მტანჯავი იჭვიანობა; ყველება და უკმაყოფილება ცხოვრებით; შეორეს მხრით კი — «სიამენი სოფლისა» — აი მოტივი მათის პოეზიისა. — სწორედ ამისათვის ამ პოეტების ნაწარმოებნი საუკეთესო მატიანეა, საინტერესო ავტობიოგრაფია მათის სულის კვეთებისა, მისწრაფებისა, რწმენა-შეხედულობისა.

მათი აზრ — გრძნობა დაუდეგარი და მოუსვენარია და ერთ განსაზღვრულ კალაპოტში ვერ თავსდება. როგორც ღრმად მურძნობნი, მოძრავნი და ცოცხალნი, — ისინი მუხლს ვერ მოიყრიან ერთს რომელსამე პიროვნიბის და ავტორიტეტის წანაშე. შემოფარგულად, განსაზღვრულად, გადუხვევლად მათ შემოქმედება არ შეუძლიანთ. როგორც ჟუშკინი ამბობს, «они гонятся за жизнью, воскращаютъ въ ней каждый мигъ и на каждый призывныи звукъ ея отвѣчаютъ отзывною пѣснью».

როგორც სარკე, ასეთი პოეტები აღბეჭდავენ თვის სულში ყოველთვი ცხოვრების მოვლენას; როგორც გამოძახილი, ისინი გამოეხმაურებიან ყოველთვი საჭირ-ბოროტო საკითხს...

მათი პოეზია ფართეა და წააგავს დიდს და მრავალ-წყლიან მდინარეს, რომელიც ლალად მოგორებს თავის ტალღებს, ხშირად გადასცდება თვის ნაპირებს აღიდების დროს, რწყამს ირგვლივ არემარეს, რაღანაც არ არის მომწყვდეული მაღალს და ღრმა კალაპოტში.

ასეთია, მაგალითად, პოეზია პუშკინისა. როდესაც ჩვენ ვკითხულობთ მის ნაწარმოებს. თვალშინ გვეხატება სხვა და სხვა ხალხი, ეპოქა და განვიცდით მრავალგვარ გრძნობას. ეგვიპტე კლეოპატრის დროისა, ანტიკური ქვეყანა თვისი ბრწყინვალე ღმერთებით, შუა საუკუნის რაინდული გერმანია, ისპანია თვისის ლეგენდებით და განცხრომით და ბოლოს რუსეთი მთელის თვისის სივრცე-სიგანით— ყოველივე ეს შეადგენს საგანს მისის პოეტურის შთაგონებისას. განსაცვიფრებელი მრავალ-ფეროვანი არიან მისი ტიპებიც, უბრალო, ოცნებიანი ტატიანა, მეწისკვილე და მისი ქანიშვილი, პეტრე ღიღდი და პიმენი, მარია ივანოვნა და საველიჩი, მოცარტი და სოლისტე, ბარონი და ევგენი, მაზეპა და კოჩუბეი და სხვა და სხვა—აი მისი უთვალავი ტიპების წარმომადგენელი.

მაგრამ რამდენადაც პუშკინი მრავალმხრივია, იმდენად ღრმა და სწორ მიმართულების არ არის. ამაშია მისი და მისდაგვარ მწერლების ღირსება— ნაკლულევანება.

მეორე ჯურის პოეტები და მათი პოეზია სულ სხვა ხასიათის და მიმართულებისაა. მათი შემოქმედება ღრმა, პირიანი და უცვლელია. რომელიმე ერთი გრძნობა-იდეა გამხდარა ლეიბ-მოტივად ყველა მათ ნაწარმოებისა და იმორჩილებს მათს ფანტაზიას. განსაცვიფრებელის დაუინებით ერთ მხრისკენ არის მიმართული მათი შემოქმედებითი ძალა. ასეთი თვისება-ხასიათი, რასაკირველია, ნიშანია პოეტის ნიჭის სილრმავისა, მაგრამ ამავე ღროს მაჩვენებელია მის შემოქმედების ერთმხრივობისა. ასეთია პოეზია ბაირონისა, უუკოვსკისა, ლერმონტოვისა და სხვა...

მთელი სიმპატია რუსთაველისა ამგვარ პოეტებისაკენ არის მიმართული. შოთა პოეტის უპირველეს ღირსებად სთვლის მისი იდეა-გრძნობათა უცვლელობას, სილრმავეს, თითქმის მარადისობას. ერთი გადაჭრილი იდეალი, ერთი სათაყვანებელი სახე; ამ სათაყვანებელ სახის მრავალ-ფეროვანი შემკობა—ით, შოთას აზრით, უმთავრესი თვისება ნამდვილის პოეტისა. ოღონდ კი ასეთი მუხლმოყრა ერთ რომელიმე სანის წინ არ უნდა გადაიქცეს უბრალო, პირადი და ეგოსტურ „ქებათა-ქებათ“. ყოველივე მისი „ქება“, „შემკობა“ და „აშიკობა“ პოეტურს ფორმაში უნდა იყოს გამოსახული: პოეტი უნდა „ხელოვნობდეს“. და ნამდვილი „ხელოვნება“ კი იმ პოეტს შეუძლიან, ვისაც ტკბილ-ხმოვანი, „მუსიკალური“ ენა აქვს...

„ხამს მელექე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრევმობდეს, ერთი უჩნდეს სამიჯუნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს, ყოველსა მისვითს ჰელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს, მისგან კიდე ნურა უნდა, მისოვის ენა მუსიკობდეს“.

ასეთს გადაჭრილ შეხედულობას პოეტზე და პოეზიაზე შესაძლოა დიდი გავლენა ჰქონდები ჰქონდები და რუსთაველის შემოქმედებაზე, ვრცელდება შემოქმედება ის ნიჭის ღახურ-ღავებად სთვლიდა, როცა პოეტ-მწერლები მრავალგვარ აზრ—იდეა, საკითხ-გრძნობის განხორციელებას ჰყიდებლნენ ხელს და გარეგან ფორმად მათი გამოხატვისა სხვა და სხვა გვარის ნაწარმოებს მიმართავდნენ: ღრამის, ოდას, სატირის, ეპოქეოსა და სხვ. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ის ჩვენთვის აუხსნელი და გაუგებარი მოვლენა, რომ შოთას— ამ ჟუა-გონების ბუბბერაზს და ხელოვნების შეუდარებელს ქურუმს— „ვეფხის-ტყაოსნის“ მეტი არაფერი არ გადმოუკია სამემკვიდროდ თანამემამულეთათვის. „შეიძლება ბევრი რამ შექმნა შოთამ სხვაც, მაგრამ ღროთა ბრუნვაში დაიკარგაო“, იტყვის ვინმე. ჩვენ კი გვგონია, — ვიღებთ რა მხედველობაში რუსთაველის ღრმა რწმენას პოეტის ღირსება-ნაკლულოვანებაზე, — რომ მას მეორე, მით უმეტეს, მესამე, მეოთხე იმისთანა გენიოსურ ნაწარმოების შექმნა, როგორც „ვეფხ-ტყაოსნია“, არც კი შეეძლო. რუსთაველმა თვის პოემაში ჩაქსოვი მთელი თვისი მაღალ მერძნობიარე სული და გული, გააბნია მასში უთვალავი, მშენიერის ფორმით შემკულ-შეკაზმული, აზრ-შეხედულობა, მიუწოდელელის სილრმე-სინარნარით დაგვისურათა ღვთავებრივი ძალა სიყვარულისა და ჰეშმარიტ მეგობრობისა და სათაყვანებელ ღმერთად დასვა გშევნიერს კვარცბეკზე ის, ვინც იყო მისი „სიცოცხლე“: მას, მხოლოდ მას, სცემს პოეტი თაყვანს; მხოლოდ მისოვის „მუსიკობს“ მისი ენა; მხოლოდ მისი წყალობით „ხელოვნობს“ პოეტის ნიჭი. ასეთი მუდმივი და უცვლელი ხოტბა-თაყვანისცემა რუსთაველს „მიაჩნია დიდად სახელად“.

შოთა ამბობს: „მას ვაქებ ვინცა მიქია“. ეს ლოგიკური შედეგია მის რწმენა-შეხედულობისა. და მართლაც სარწმუნოა პიპოტეზა ბ. მარრისა, რომ მელიც ჩახრუხაძეს და რუსთაველს ერთი და იგივე პირად სთვლის: საგანი მათის შესხმა-დიდებისა ერთი და იგივე— ბრწყინვალე სახე-პიროვნება თამარისა.

იპ. ვართაგავა.

ინგილოთა ყოფა-ცხოვრება

(ეთნოგრაფიული წერილები)

3.

ილოვება და ქორწილი.

მეორე ღლეს ვაჟიანთსა მოდის დაკვეთილი ზურნა და იქრიბებიან ყველა ნათესავებ-ნაცნობები სასიძოსი და ჰენგები ანუ მაყრი-ქალები. საინგილოში კაც-მაყრების მაგიერ. ქალი-მაყრები იციან, რო-

მელთაც ჰენგებს ეძახიან. ამავე ღროს დილიდანვე ეზოში გძლად გაშლილია ხორაგეულობიტ სავსე სუფრა და ყოველ წამსვლელ-წამომსვლელინი და სტუმრები ჭამა-შექცევაში არიან. როცა ყველა ნათესავები და ჰენგები თავს მოიყრიან, მაშინ მეზურნები მეფის გამოსასვლელს დაუკრავენ და სამეფო გამოჰყავთ სახლიდან ნაბად-წამოსხმული და აქეთი ქიდან მისდევენ ახალგაზდა ამხანაგები. ვაჟს გამოსვლისათანავე ეგებება დედა და ქალები; გარდა კაცებისა. დედა შემოახვევს სამეფოს კისერზედ წითელი ფერის მოსახვევს, დანარჩენი ქალები კიდევ თეთრი ფერის მოსახვევებს.

ასე მოკაზმულს მეფეს მიიყვანენ და დასვამენ შეა სუფრაზედ. მეფე გარინდებული ზის, ხმას არ იღებს და ნაბადი ისე აქეს მობუდნული, რომ პირისახე არ უჩანს. ამ ღროს მეფეს მიართმევენ ტაბაკით ძლვენს. ნაზუქებს, თაფლს, ერბოს, თხილს, წაბლს, ღვინოს და სხვა და სხვა ტკბილეულობას და წინ დაუდგავენ მოართმევენ ენცრეთვე შახსაც, რომელიც მრგვალის ფუარისაგან შესდგება და ზედ დამაგრებულია ვაშლებ-აგებული შამფურსავით სამი ჯოხი, რთმელით შეერთებულ წვერზედაც დიდი მსხალია ჩამოკიდებული.

როცა ყველა ამაებს გაათავებენ და კარგად შენაყრდებიან, მაშინ ჰენგები წასასვლელად გაემზადებიან. ჰენგები ვაჟიანთ ნათესავი ახალგაზდა ქალებიარიან და ყველას ცალ-ცალკე ცხენები ჰყავთ მზად საპატარძლოსთან წასასვლელად. თვითეულ ჰენგის თან მისდევს ფეხით ყმაწვილი კაცი, რომელთაც გამოტანებულებს ეძახიან. გამოტანებულები შეიარაღებული არიან თოვებითა და დამბარებით. ჰენგების რიცხვი 20—50 ადის ხოლმე, რომელთაგანაც ერთს ბაშ-ენგა (უფროსი) ჰქვიან, ე. ი. უფროსი შაყარი. ბაშ-ენგას ცხენს სავსე ხურჯინი ჰქიდია, რომლის ერთს თვალში ჩალაგებულია საპატარძლოს ტანისამოსი ერთი ხელი და ქოშები, რომელიც უსათუოდ ვაჟის სახლიდან უნდა წაიღონ. ხურჯინის ამავე თვალშია შოთავსებული ქალის იმრათი, ანუ ვერცხლის სამკაული, მეორე თვალი კი ხორაგეულობით არის სავსე, 6—7 ნაზუქით, დიდის სატვინეთი, უმი სამწვადე ხორცით, ერთი კუშულა ღვინით და სხვით.

ყველანი რომ მზად იქნებიან, მეზურნეები სამგზავროს დაუკრავენ, ჰენგები საჩაროდ ცხენზედ შესხდებიან, ხოლო მეფე უკანვე სახლში იმალება. ამ ღროს თოფს გაისვრიან და ყველანი ეზოდან გაიკრიფებიან და საპატარძლოსაკენ გაემართებიან. წინ მიღიან მეზურნეები, მერე მეამზონაგეები და გატანებულები, მეამზონაგეებს მხარზე გადებული აქვთ. ხის დიდი შამფურები ზედ აგებული სამწვადე ხორცით, სატვინეთი და ქათმებით, უკმნ მისდევენ ცხენებით რიგ-რიგათ წეროებსავით ჩამწკირვებული ჰენგები, რომელთაც წინ მიუძღვის ბაშ-ენგა.

ღინჯათ, აუჩქარებლივ, მიღის მაყრაანი საჭარბოლოსას. აი მიუახლოედნენ კიდეც, მაგრამ დარღვაზა (ალაყაფის კარები) მაგრად დაკრტილი და ჰევდებათ, ხმაურობა არსით ისმის და მხოლოდ მაღლალ ალატზედ გაკეთებული ხახვის თავი ან ძვალი ატყობინებს მაყრიანებს, ვიდრე თოფს არ მოარტყავთ ხახვის თავს, სახლში არავინ შეგიშვებთო. გამოტანებულების მოვალეობაა მისი ჩამოგდება. თოფებით შეიარაღებული ჰენგების მხლებელი ახალგაზდები დაუწყებენ სროლის, თოფი თოფზედ ვარდება ლუკმა-ლუკმად ქუეული ხახვი, ან დამტვრეული ძვლის ნაჭრები ჰაერში იფანტება, დარღაზის კარიც იღება.

ყველანი სიცილით და ჟივილ-ზივილით შედიან ეზოში, ცხენისანი ენგები ჩამომწკრივდებიან, ზურნა სათამაშოს (ინგილოურად ბაშიპბოს) დაუკრავს. სახლის უფროსი ქალი თამაშობით გამოეგებება ჰენგებს, მას მიკვებიან სხვა ქალებიც. ჰენგები ამაყად გადმოსცეკრიან ზევიდან მოთამაშეთ და ცხენებიდან ფეხს არ იცვლიან. სახლის უფრდს გამოთამაშება ნიშნავს ჰენგების მიპატიუებას და მიწვევას. როცა თამაშობას გაათავებენ, მაშინ სახლის უფროსი ქალი ხელის გაშლით მოიწვევს მათ და ეტყვის: „ჩამოთო“. ამ სიტყვის თქმისათანავე ყველა ჰენგები თვალის დახამაშებაზედ ცხენებიდან გაღმოხტებიან და გამოტანებულებს ჩაბარებენ ცხენებზედ ზრუნვას.

ყველა ჰენგებს განსაკუთრებით მთოვის გაშლილს ეზოში ჯეჯიმებზედ დასაჯდომათ მიიწვევენ. თავში ჯდება ბაშ-ენგა, მას შემდეგ რიგ-რიგობიც ჩამოჯდებიან დანარჩენი ჰენგები, რომლებშიაც და ნარჩენი სტუმრათ მოსულნი ქალები არ ერევიან. შემდეგ ჰენგებს ხელებს აბანინებენ და სუფრას უშლიან. იშმრთება უხვი სტუმრიანობა, მასპინძლები არაფერი იშურებენ, ლავაშებით და ხორაგეულობით სავსეა სუფრა, თაფლი, ერბო, ყველი, წვნიანი, სატვინე ხორცი და შემწვარი უხვათ მოდის სუფრაზედ. დაბოლოს მოაქვთ ხილი და ყველას თითო შამფურისთვის საკარისის სამწვადე ხორცს აძლევენ.

ასეთსავე შექცევაში არიან მეორე მხარეს გაუმოტანებულები და სხვა ხტუმრები.

ჰენგების მოსვლის ღროს საპატარძლო თავისს ტოლ-ამხანაგებით ცალკე ოთახშია ჩაკეტილი და გარედ არ გამოდის. ამ ღროისთვის საპატარძლოს ყველა მახლობელი ნათესავები მიირთმევენ ფლავს, რომელიც გამოსამშვიდობებელ გამასპინძლებასა ნიშნავს. ამავე ღროს საპატარძლოსთან არის დადე და უცდის ტანისამოსის მოტანას. ბაშ-ჰენგა ხურჯინით მოტანილს საჯერისწერო ტანისამოსს ჩაბარებს დადეს თუ არა მაშინვე შეუდგებიან ქალის მორთვას. ქალის მორთვაში დადეს ეხმარებიან დედმამანი ქალიშვილი და მორთავ-მოჰკაზმავენ, თუ არა საპა-

ტარძლოს, დადე მაშინვე მოითხოვს თავის გასამრჯელოს უფროსი გამოტანებულთაგანი მოვალეა გადიხადოს 1--2 მანეთამდის დადის სასარგებლოდ. როცა პატარძალი უკვე მზად არის მორთულ-მოკაზმული და დადემ უკვე თავისი გასამრჯელო მიიღო, მეზურნეები პატარძლის გამოსაყვანის უკრავენ. ოთახის კარები ნელად გაიღება და უფრო ნელადვე გამოიყენენ საპატარძლოს. კონტად მორთული მოკაზმულსა და მთელ ინგილოურ ვერცხლის იმარათში გამოწყობილს საპატარძლოს წინიდან სახეზედ ჩამოფარებული აქვს გრძლად ქალადა, ისე რომ სრულიად არ უჩანს პირისახე. ნელად მუშიასავით მოიზღაუნება პატარძალი, რომელსაც აქეთ-იქიდან მხარს უჭერენ ამხანაგი ქალები. გამოსცდება თუ არა კარებს პატარძალი, მაშინვე თოფს გაისცრიან და ყველა იქ მყოფ მხარულობაში გართულ სტუმრების ყურადღება პატარძლის კენ მიიცევა.

ჭენგები ფიცხლავ ფეხზედ სდგებიან, პატარძალს წინ შიპრობით (ცეკვით) მიუძღვიან ახალგაზდა ქალიშვილები. მიიყვანენ პატარძალს და კერძოთ მისთვის მოშზადებულ ჭენგების შუაში ბალიშზედ დააყენებენ. ფეხზედ მდგომი ჭენგები რიგ-რიგობითი მესალმებიან საპატარძლოს, გადაჰკონიან და მერე თავთავიანთს ადგილსავე ჯდებიან. მათ შემდეგ სტუმრათ მისული ახალგაზდა ქალიშვილები ამ რიგადვე მიესალმებიან, ყოველი მათგანი საჩუქრად მიართმევს ბალდადს, ან დადს ხელსახლს, კისერზედ გადაჰკიდებენ და წინ ჩამოუთამაშებენ.

როცა ყველანი თამაშით გულს იჯერებენ, ზურნის ხმა სწყდება და ყველანი ხელახლივ სუფრას მიუსხდებიან და ჭამა-სმას განაგრძობენ. პატარძალიც ამ დროს ჯდება, მაგრამ პირზედ ქალადა ისევა აქვს ჩამოფარებული და არც ინძრევა და არც არაფერ-სა სჭამს.

ამ დროს ურემზედ უდებენ პატარძლის მზითევს, ჯეჯიმებს, ქვეშსაგებს, სკივრს, კიდობანს, აფთაფას (სპილენძის თუგნს) და ლაგანს. ზედ მზითევზედ სვამენ რას პატარა ბიჭს—ქალის მახლობელ ნათესავებს და, როცა ურემი დაძვრის, ზურნის კვრითა და თოფის სროლით უთავაზებენ გზას.

ურძის გაცილების შემდეგ, ნელის ნაბიჯით უკანვე სახლში შემოჰყავთ პატარძალი, დააყენებენ კართესთან და ემშვიდობებიან დედა, დები და მახლობელი ნათესავი ქალები გარდა კაცებისა. კაცებთან გამოშვიდობება-კი მიღებული არ არის.

როცა საპატარძლო სახლში მშობლებსა და ნათესავებს ემშვიდობება, ამ დროს ეზოში მორთულ-მოკაზმული ცხენი უცდის. პატარძლისთვის დამზადებული ცხენი უსათუოდ ულაყი უნდა იყვეს და მორთულია მირაზით, (აბრეშუმის ფერადის ძაფებით და ასეთისავე ფერადის ბურთებით აკუნძლულს თოფს

წარმოადგენს) რომელიც რამდენიმე პირად აქვს ყელზედ შემოვლებული და კოტა სურათებიან ჭრი ჯიმის მმგვარი სალტები არტყია მუცულზედ. ცხენი აბარია ერთ გამოტანებულთაგანს, რომელსაც ჯილვადარს ეძახიან.

ბოლოს ნელის ნაბიჯით გამოყა საპატარძლო, უკან მისდევენ შინაურები, დიდი და პატარა, უკანასკნელად ემშვიდობებიან და გზას ულოცავენ. გამოტანებულები და ჰენგები აქეთ-იქიდან მისცვივდებიან და შეველიან ცხენზედ შეჯდომას. ზოგი უზაგნს უჭერს, ზოგი მიწაზედ პირუკულმა ქვასა ან სხვა რამეს უდგამს, რომ ადვილად შეჯდეს და სხვა. ჰენგებიც ერთ თვალის დახამხამებაზედ შეხტებიან ცხენებზედ, ზურნას დაუკრავს, თოფს გაისცრიან და ყველანი გზას გაუდგებიან. წინ მიღიან ჰენგები, ყველაზედ უკან პირზედ ჩამოფარებული მისდევთ საპატარძლო, რომელიც ცხენის ალვარიც უჭირავს ჯილვადარს და წინ მიუძღვის. ჩვეულებათა აქვთ ზოგიერთ სოფლებში პატარძალს უკან ცხენზედ შემოუსვამენ ხოლმე პატარა ბიჭს, რომელიც პატარძლის მეგობარ ამხანაგად ითვლება და რომელსაც საძმოს ეძახიან. ქალის სახლიდან ჰენგებს ემატებათ დადე, რომელიც ცხენითვე მისდევთ, ქმარი დადესი და ერთი კაცი ქალის ნათესავთაგან.

მთელი პროცესია ეკლესიაში მივა, სადაც ამ დროს უცდის ჯვრის დასაწერად გამზადებული მეფე თავისის ამხანაგებით და ნათესავ-ნაცნობებით. მეფის მისვლა ეკლესიაში ჩუმათ, მიპარვით ხდება. ნაბად მობუდნული მეფე ჩუმად გამოვა სახლიდან ვენახ-ვენას ან შორის გზით მიიპარება. რომ არავინ დამინახოს და ისე მივა ეკლესიაში. დანარჩენი ჯვრისწერაზედ დამსწრენი სხვა გზით მიღიან ეკლესიაში.

გათავდება თუ არა ჯვრისწერა ქუდის გლეჯით გამოვარდება ეკლესიდან რომელიმე ახალგაზდა ბიჭი და მეფიანთა შესვენებლივ გაექანება, რათა შშობლებს ახაროს ჯვრისწერის ამბავი. ამ კაცს მახარობელს ეძახიან და შევა თუ არა მეფის შშობლებთან, მაშინვე დედასაც და მამასაც ნიშნად ხარებისა ყურებს აუწევს და ვიღრე არაფერს აჩუქებენ არ მოშორდება.

მახარობლის კვალს ჯვრის დაწერის გათავებისათანავე გაჟვება მეფე, რომელიც საჩქარიდ გამოვა რა ეკლესიდან ნაბადშივე მობუდნული, ისევე ჩუმად საჩქართ მიიპარება სახლში ვენახ-ვენას, და სახლში, რომ მივა წინდაწანვე სახლის კედელზედ მიყუდებულ გრძელი კიბით ადის სახლის ბანზედ და იქ უცდის პატარძალს.

პატარძალი და დანარჩენი ეკლესიაში მყოფნი ზურნის კრვით და მხიარულობით გამოეგზავრებიან მეფიანთკენ. მაგრამ პატარძალს ეხლა თითქმის

მაშალას აგდებენ დარბაზიდებან, უივილ-ხივილით ყველგან ცხენზედ აღარ სვამენ, არამედ წინდაჭინ დამშადებულ ეტლში (ფაიტონში) და აქეთ-იქით მოუსხდებიან ტოლამზანაგები. მეფიანთ დარვაზა (ჭისკარი), როგორც წელან ქალიანთს, აქაც დღვე-ტილი დაპერდებათ და გრძელს ალატებდ გაკეთებული მაშალა, რომელიც დარვაზის თავიდან ნაპერ-წკლებს ისვრის გზას უღობავს მიმსვლელთ. კაცები თოფებს უშენენ ხელს დასტაცებენ, მაშალას, ამ დროს დარვაბის კარიც გაიღება და ყველანი სიცილ-ხითხითთ შედიან სახლში.

ამ დროს მეფე ბანზედ არის გაჩერებული, დედოფალს. კიბის ირგვლივ სამჯერ შემოატარებენ, მეფე ზევიდან ჯამით სავსე თხილს გადმოაყრის. ბავშვებს უხარიათ უივილ-ხივილით თხილსა ჰკრეფენ და მეფეც ჩამოდის ერდოდან, ამ დროს დედოფალს სახლის უფროსი კაცი მიუძღვება დიდ ოთახის უმთავრეს კარებისაკენ, სადაც დახვდებათ დედამთილი ან მისი მოადგილე ხელში ბოხჩით, რომელზედაც აწყვია თაფლი, ცომი, ყაჭი და სანთლებითაა გაჩაღებული. კარებშივე გდია გუთნის ან აჩაჩის პირი და სდგის პატარა ჯამი ღვინით სავსე. კარებში, რომ ფეხს შესდგამს, დედამთილი თაფლს პირში გამოსცებს და ეტყვის: —ჰემანგრ ტებილ დაბერდი; ყაჭისაც თავზედ შემოავლებს და ეტყვის: —ჰემანგრ თეთრა დაბერდ; ცომსაც მისცემს მარჯვენა ხელში და პატარძალი აკრავს კარებს გარედან ხუთივე თითოთ ეს იმასა ნიშავს. რომ დღეის უკან ქალი უნდა შეუდგეს ოჯახის მზრუნველობას პურსაც აცხობს და სხვა ყველაფერი ოჯახისთვის საჭირო საჭმელი გაკეთოს. ღვინით სავსე პატარა ჯამსაც ფეხით და-ღვრის და ღვინოს გუთნის პირაზედ მიაქცევს. შემდეგ პატარძალს სახლში შეიყვანენ და გამომცხვარი პურით სავსე ვარცლში ჩაყოფინებენ ხელსა იმის ნიშად, რომ დღეის უკან უნდა იცოდეს ოჯახში სად რა არის და სად რა. ბოლოს მიიყვანენ კორთესთან — (სახლის ჩრდილოეთი მხარე), რომელიც ფარდით იყოფა დანარჩენ თახიდან და წინდაჭინვე მომშადებულს ადგილს სვამენ. გვერდით მიუსხდებიან მდადე და რამდენიმე ამხანაგი-ქალი შეილი. დანარჩენი სტუმრები ფარდის იქითა თავსდებიან და იწყობა ჩვეულებრივი მხიარულობა-გართობა, შიპრობა-თამაშობა და ბოლოს შედიან, ვახშამს და სმა-ქუიფს შეუდგებიან. შუალამისას თითქმის ყველა სტუმრები მიდიან, დარჩებიან მარტო გამოტანებულები და ზოგიერთი მახლობელი, რომელნიც დაღლილი აქეთ იქით მიწვებ მოწვებიან, სახლის უფროსს კი აიძულებენ ფლავის გაკეთებას და როცა ფლავი მზათ იქნება, გამოაღვიძებენ და შეექცევიან.

მეორე დღეს ეძახიან დიდი ქორწილის დღეს. ამ დღისთვის დაპატიჟებულნი არიან ყველა ნაცობნათესავები მთელის ოჯახობით დიდიან-პატარებია-

ნათ. ეზოში ორპირათ იშლება გძელი სურფა, ქალები ცალკე სუფრაზედ სხდებიან, ცალკე ცალკე ხალხი დილიდანვე დენას იწყებს, ცალკე ცალკე ხალხს უბუებს, ყველანი ძღვნითა და საჩუქრით მოღიან. თაბახებზედ დაწყობილი მოაქვთ ვაშლი, თხილი, ალვა, კახაჩი (ცხვრის კოჩინა) ქათამი და სხვა, რომელსაც ზევიდან აქვს იაფ-ფასიანი ხელსახლცები და ბალდადები. ბალდად-ხელსახლცებს კისერზედ გადაპიდებენ მეფეს. მიულოცავენ, უსურვებენ ბეღნიერს ცხოვრებას და ნიშად პატივისცემისა რამდენჯერმე წინ ჩამოუთამაშებენ. გამოტანებულები ცალკე ალაგებენ საჩუქრებს და ყურს უგდებენ, რომ არაფერი დაიკარგოს. მეორე სუფრაზედ, სადაც პატარძალი აყენია შუაში ქალადა ჩამოფარებული და გვერდით მდადე და ხელად გათხოვებული ქალები უდგანან, ასევე მიარომევენ საჩუქრებს და თან ჩამოუთამაშებენ. ამ მილოცვის დროს მეფეცა და დედოფალიც ფეხზედა სდგანან.

მილოცვების გათავების შემდეგ ყველანი სუფრაზედ სხდებიან, კაცები, ქალები ცალკე და გაიმართება სმა-ჭამა და დროს გატარება. სუფრაზედ ლავაშები, შოთები, ყველი, კარაჭი, ხილეული და არაყ-ღვინო უხვად აწყვია. დასხდება თუ არა ხალხი სუფრაზედ სახლის უფროსნი სულყველის ჩამოუვლიან, აიღებენ ლავაშს ან შოთს მოჰკიდებენ ერთ მხარეს ორ ხელს, ხოლო მეორე მხარეზედ სუფრაზედ მჯდომს მოაკიდებინებენ, ამგვარად გასტეხენ და თან იტყვიან) — „ღმერთო და ხურმუხის საყდარო! ბეღნიერ გა-ჰებად ჯორ-დაწერილნი“. როცა ხალხი ცოტათი შენაყრდება, მაშინ ჩამოურიგებენ უმ სამწვადე ხორცს, რომელიც თითონვე სტუმრებმა უნდა დასჭრან წვრილად და ააგონ ხის შამფურებზედ, მოაყრო მარილიდა ხავი და მოსამსახურებს მისცენ შესაწვავად. ამ დროს ეზოს ერთს კუთხეში გაჩაღებულია ცეცხლი, მწვადებს მოსამსახურენი ხელდახელ შეაშიშენებენ და ცხელ-ცხელს მიარომევენ სტუმრებს. ვისაც წვალი არ ეყოფა შეუძლიან კიდევ მოითხოვოს. მწვადის შემდეგ მიარომევენ მხარეშულ მშრალ ხორცს ანუ სატვინეს და ზედ მოვლებენ წვნიანს.

ამ დროს, როცა ყველანი შეექცევაში არიან გამოტანებულები თავიანთს თავზედ ზრუნვას არ აკლებენ. მეფის დედ-მამას და ნათესავებს ძალით თუ ნება ყოფლიბით ართმევენ რამე საჩუქარს. პირველად დაიკერენ მამას ან დედას მიაბამენ ხეზედ და ფეხებში წკეპლის ცემას დაუწყებენ. ხეზედ მიბმული ტყუილად სცდილობს განთავისუფლებას, მაგრამ გამოტანებულები ულმობელნი არიან და ვიდრე საჩუქრად ანუ ხარკად არ მიარომევენ ინდაურს, ქათამს, ან ბატკანს არ ანთავისუფლებენ.

8. ედილი.

(დასასრული იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი: პეტრე სურგულაძე.